ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ბონდო ღლონტის 2014 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მოვხვდი გურიანთის მაჟორიტარული ოლქიდან, ვარ ფრაქცია „ძლიერი სოფელი“-ს წევრი.

2014 წლის 2 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით,მონაწილეობა მაქვს მიღებული საკრებულოს 14 სხდომაში, რომლეთა მიმდინარეობისას მიღებულ იქნა 100 განკარგულება, დამტკიცდა 49 დადგენილება.

საანგარიშო პერიოდში აქტიური მონაწილეობა მივიღე კომისიიების სხდომებში. სულ ჩატარდა „ სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის“ კომისიის 11 და „ განათლების, კულტურის,სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოცილაურ საკითხთა“ 12 სხდომა.

აღნიშნულ სხდომებზე სხვადასხვა საკითხებთან ერთად კომისიამ გამოიტანა რამდენიმე დასკვნა, მათ შორის 2014 წლის ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების თაობაზე, 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის აღმასრულებელ ორგანოში დაბრუნების თაობაზე.

დავაყენე საკითხი სამამულო ომის მონაწილისა და აფხაზეთის ომში დაღუპულთა ერთჯერადი დახმარების თანხის (100) ლარის გაორმაგების თაობაზე, რომელიც მიღებულ იქნა. 2014 წლის 2 აგვისტოდან 31 დეკემბრამდე 5-ჯერ ჩავატარე შეხვედრა ამომრჩეველთან, ამ შეხვედრებს ჯამში დაესწრო 65 მოქალაქე.

მოქალაქეებთან შეხვედრისას წამოჭრილი პრობლემები ძირითადად ეხებოდა სოფლის განათებას, გაზიფიცირებას, ცენტრალური გზის ასფალტის დაგებას, სანიაღვრე არხების გაწმენდას, ციხისფერდში წყლის პრობლემის მოგვარებას, სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისათვის ზარალის ანაზღაურებას. მუზეუმის, ამბულატორიის, საბავშვო ბაღის, ადმინისტრაციული შენობისა და კლუბის სახურავის გამოცვლას; აფხაზეთში დაღუპული მეომრების სახელით სკვერის გაკეთებას; მატარებლის სადგურ „კახური“-ს მოსაცდელის მოწესრიგებას.

აღნიშნული პრობლემატიკიდან აღსანიშნავია, რომ სოფ. გურიანთის სრული გაზიფიცირება უახლოეს თვეებში დასრულდება, ასევე მოწესრიგდება სოფელში გარე განათებაც. რაც შეეხება წყლისა და ცენტრალური გზის ასფალტის დაგებას, ის 2016 წლისათვის არის დაგეგმილი.